

სულისა და ბედნიერების ძიება შორეული აღმოსავლეთის კულტურებში

(გლობალური და პერსონალური სახეები თანამედროვე ბულგარულ დოკუმენტურ კინოში)

ანდრონიკა მარტონოვა

საკვანძო სიტყვები: ბულგარული კინემატოგრაფი, ეგზოტიკური განსხვავებულობა, მიგრაცია, შორეული აღმოსავლეთი, იდენტობა, გლობალიზაცია, კულტურული მრავალფეროვნება, დოკუმენტური ფილმები, სულიერი ღირებულებები

ტექსტში განხილულია რამდენიმე ბულგარული დოკუმენტური ფილმი, რომლებიც ეძღვნება ბედნიერების იდეას და შორეულ ტერიტორიებზე მიგრაციის თემას.

ეკრანზე გაშლილი კულტურული დიალოგი შორეულ აღმოსავლეთსა და ბულგარეთს შორის, მართლაც, ახალი სფეროა ტოტალიტარიზმის შემდგომი პერიოდის ბულგარულ კინემატოგრაფიაში, რომელიც არათანაბრად ვითარდება მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმების სხვადასხვა ფორმაში. ზოგადად, დოკუმენტალისტიკა ყოველთვის წარმოადგენდა ბულგარული კინემატოგრაფის უფრო ძლიერ მხარეს და ეს ტენდენცია, მეტწილად, შენარჩუნდა დემოკრატიული ცვლილებების (1989) შემდეგაც. ამავე დროს, დისტრიბუციის პრაქტიკა და დოკუმენტური ფილმების (სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი, ფართო ეკრანის ფორმატის) აუდიტორიაზე წვდომა დღესაც პრობლემატურია და სირთულეს წარმოადგენს. ზოგადად, გვაქვს ასეთი სურათი: ზოგიერთ, ხშირად პატარა კინოთეატრებში ფილმები გადის პირველად (პრემიერის სახით) და შემდეგ სპონტანურად, არარეგულარულად ჯდება საპროგრამო ბადეში. შესაბამისად, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ბულგარული დოკუმენტური ფილმები თითქმის არ გვხვდება ყოველკვირეულ საპროგრამო ბადეში. თუმცა, ტექნოლოგიებისა და სტრუქტურის და ვიდეოს გაზიარების პლატფორმების განვითარების წყალობით, დღეს უკვე არსებობს ალტერნატიული გზაც. ციფრულ გარემოში კინემატოგრაფიული არტეფაქტები აღწევს აუდიტორიამდე, რომელიც არ წარმოადგენს საზოგადოების მენისტრიმს. ასევე თვალშისაცემია,

რომ ახალგაზრდა რეჟისორების დოკუმენტური ფილმები ბევრად უფრო ხელმისაწვდომია საყურებლად, ვიდრე სტაჟიანი და საერთაშორისოდ აღიარებული ავტორების ნამუშევრები. წინამდებარე სტატიაში აქცენტი გაკეთებულია ახალბედა დოკუმენტალისტებზე, ომელთა ნამუშევრები აგებულია მიგრაციის, მულტიკულტურულობის და „მსოფლიოს მოქალაქეობის“ თანამდევ გლობალური თავისუფლების თემებზე. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: თავიანთ ფილმებში ისინი ინტუიტიურად თავს არიდებენ არც თუ ისე შორეული სოციალისტური წარსულის გადაზრების და გაანალიზების მართლაც მტკიცებულად პრობლემატურ საკითხს, რომელიც დღესაც წარმოადგენს ექსკლუზიურ სფეროს რეჟისორებისთვის ხანგრძლივი სტაჟითა და ფართო ხილვადობით ბულგარულ დოკუმენტალისტიკაში. შემოქმედთა ძველ და ახალ თაობებს შორის შეხების წერტილი კი მდგომარეობს ბულგარეთის, როგორც „ეგზოტიკურად განსხვავებულის“, თავისებური, პროვოკაციული პორტრეტის დახატვაში. ამ არსებითი და, რა თქმა უნდა, საინტერესო დახასიათების წარმოჩენით, ასევე იქმნება მნიშვნელობათა სხვადასხვა სფეროს ვექტორები. მთავარი გზავნილი კი, რომელიც გადმოცემულია რელიგიური დიალოგისა და კულტურულ-ეთნიკური მრავალფეროვნების პრიზმაში, ასე ჟღერს: „როგორ მივალწიოთ სულიერ ჰარმონიას და ბედნიერებას? როგორ დავძლიოთ კულტურული განსხვავებები?“. დოკუმენტური

ფილმები კონცენტრირებულია გლობალური სამყაროს ისეთ გამოწვევებზე, როგორცაა მზარდად მატერიალისტურ მსოფლიოში იდენტობისა და სულიერი საწყისების შენარჩუნება. ამავე დროს, ყველა რეჟისორი ეძებს ისეთ ფასეულობებს, რომლებიც, ერთმანეთისგან დაშორების ნაცვლად, აერთიანებს კაცობრიობას.

თანამედროვე კინემატოგრაფის პრიმმაში დანახულ დიალოგს აზიასა და ბულგარეთს შორის აქვს დიდი პოტენციალი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კონტექსტს: ისტორიულს, პოლიტიკურს, ესთეტიკურს, კულტურულს, ეთნოფსიქოლოგიურს და სხვ. აზიის „განსხვავება“ ახალ ბულგარულ დოკუმენტალისტიკაში წარმოაჩენს აღმოსავლეთის სიშორისა თუ სიახლოვის იდეას. უახლეს ბულგარულ კინემატოგრაფში იდენტობა ახლებურადაა აგებული კულტურათაშორისი შედარების: „საკუთარი – უცხო“ ლერძის გარშემო.¹

ბოლო პერიოდში შეიქმნა რამდენიმე ნამუშევარი, რომლებშიც სივრცით ჩარჩოში სრულიად განსხვავებული კუთხითაა დანახული დღემდე გამოუყენებელი იდენტობები და მათი შაბლონური სახეები. კონტრასტი აგებულია შედარებებზე, ერთი მხრივ, ბულგარულ იდენტობას და, მეორე მხრივ, ჩინურ, კორეულ, იაპონურ, იაკუტურ, ნეპალურ, ვიეტნამურ, ბირმულ, კამბოჯურ და სხვა იდენტობებს შორის. ეს კი, მართლაც, სიახლეს წარმოადგენს. უფრო მეტიც, ამ ფილმებში წარმოჩენილია აქამდე უცნობი, „დებულგარიზებული“, მომხიბვლელი პერსონაჟებიც კი, რომლებიც არსებობენ აღმოსავლეთის სრულიად უცხო, ატიპურ კულტურულ გარემოში.

2010 წლამდე შეიქმნა სიუჟეტის, სტილის, საეკრანო გზავნილის და ესთეტიკური პარადიგმის მხრივ განსხვავებული სულ რამდენიმე ფილმი, ესენია:

- კრასიმირ ჰაზარბასანოვის „დუმილი კამბოჯაში“ (1993): დაუფარავად შემზარავი თხრობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთ ქვეყანაში ნატოს წევრობის კანდიდატის, ბულგარეთის სამხედრო მისიის შესახებ;
- ანდრეი ალტაპარმაკოვის „გასული საუკუნის სასიყ-

ვარულო ისტორია“ (2001): მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელი ჟურნალისტის, მაედა იოშინორის (შემდგომში იაპონიის ნაციონალური სამაუწყებლო ორგანიზაციის NHK პრეზიდენტი) და ბულგარელი ანასტასიას დიდი სიყვარულის ამბავი;

- მილენა კანევას „სრული უარყოფა“ (2006), რომელიც ეძღვნება მიანმარის გარემოსდაცვითი და ადამიანის უფლებათა საკითხების კვლევას;
- ლუბომირ ჰალაჩევის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოგზაურობის ამსახველი დოკუმენტური ფილმები: „5000-წლიანი ტრადიციები“ და „უკვდავი რწმენა“ (ორივე – 2001), „ხალხი ჯუნგლებსა და ოკეანეს შორის“ და „სინგაპური – ლომის ქალაქი“ (ორივე – 2007).

2010-2020 წლებში აზიის განსხვავებულობის თემისადმი მიძღვნილ ფილმებში თვალშისაცემია ისეთი სახეების წარმოჩენისკენ მიდრეკილება, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ შესრულების სამი მიმართულება:

- o 1-ლი ვერსია: ჩვენი მშობლიური რეალობის ფარგლებში წინააღმდეგობა ბულგარულსა და აზიურს შორის;
- o მე-2 ვერსია: შორეული ქვეყნების უპრეცედენტოდ სიღრმისეული შესწავლა, რომელსაც ახასიათებს განსხვავებული ესთეტიკური პირობითობები, მსოფლმხედველობები, ქცევები და, რა თქმა უნდა, ურჩობა განსხვავებული, ეროვნულობის მიღმა მყოფი და ცალსახად უნივერსალური მნიშვნელობებისა და გზავნილების მიმართ;
- o მე-3 ვერსია: ბულგარულის და ეგზოტიკური „განსხვავებულის“ შერევა აზიისა და ოკეანის ნაკლებად ან სრულიად უცნობ კულტურებში.

წინამდებარე ტექსტში ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ მე-3 ვარიანტზე, რადგან ის მოიცავს იმ ავტორების ნამუშევრებს, რომლებიც ავითარებენ ზემოხსენებულ იდეას – ბულგარეთის „პერსონაჟის“ „ეგზოტიკური განსხვავებულის“ იდეას წინააღმდეგობებით საგსე გლობალურ სამყაროში. ჩემ მიერ განხილული ფილმების შემქმნელები არიან ახალგაზრდა

¹ სოციალიზმის ეპოქაში შედარებების და ტოტალიტარულ დოკუმენტალისტიკაში შორეული აღმოსავლეთის წარმოჩენის შესახებ იხ.: MARTONOVA, Мeждy, 2021, pp. 22-26 [Mezhdu, 2021]

დოკუმენტალისტები: ატანას კუცევი, „სრული ბედნიერება“ (2016);² ბორისლავ კარამელსკი და ანტონი კრაცევი, „კალაჩაკრა“ (2012) და „უხილავი ძაფები“ (2016).³ გარდა ამისა, განვიხილავთ აღიარებული რეჟისორების ფილმებს: მარიო მარკოვის „გამარჯობა, პაპუა!“ (2009)⁴ და პანჩო ცანკოვის „ნიანგის გრძელი გზა“ (2011).⁵

მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სრული ბედნიერება“ (ბულგარეთისა და ნეპალის ერთობლივი ნაწარმოები) ეძღვნება სულიერ ძიებას, ბედნიერების კონცეფციის კვლევას, უფრო სულიერი სამყაროს კონტექსტში, ვიდრე მატერიალურ სამყაროში.

სადღაც კატმანდუში, შორეულ სკოლა-მონასტერში, რეჟისორი გვაცნობს სხვადასხვა პერსონაჟს: ყველა ასაკის მოსწავლე-ბერებს, „სიდჰართას ფონდის“ დირექტორს, რომელიც კურირებს ამ სკოლას, ასევე ჩინელ მოხალისეს, რომელიც წლების განმავლობაში ეხმარება მონასტერს, და... მონიკა ბალაბანოვას, ინგლისური ენის ბულგარულ მასწავლებელს.

ფაქიზი აქცენტი კეთდება ბუდიზმის და მისი ნეპალური ვარიაციის – ე. წ. ნევარული ბუდიზმის ძირითად კონცეფციებზე: მაგალითად, „დჰარმა“ – სულიერი გზა, რომელსაც ყველა უნდა მიჰყვეს, ასევე „აჰიმსა“ – არაძალადობრივი ცხოვრების წესი. რელიგიური სისტემის ჩართვა ფილმის ქსოვილში ითხოვს კულტურული იდენტობის სინერჯის კანონიკის გაცნობიერებას.⁶

რეჟისორი კუცევი კი კარგად ერკვევა ამ კულტურულ თავისებურებებში, რომელთა მეშვეობით, ასევე მონიკას კეთილშობილური მისიის წარმოჩენის გზით, მას წინა რიგში გამოაქვს მიგრაციისა და იძულებით გადაადგილებული პირის თემები. მონიკა არის ფილმის თხრობის წინამძღოლი, თუმცა მისი ფიგურა თავსმოხვეული არ არის. ფილმი კონცენტრირებულია არა მისი პორტრეტის დახატვაზე, არამედ სრულიად განსხვავებულ სამყაროში ბალანსისა და ჰარმონიის კონცეფციის წამიერი სურათის წარმოჩენაზე. ეს ახალგაზრდა ბულგარელი ქალი მიჰ-

ყვება გზას, რომელსაც ცვეტან ტოდოროვი აღწერს „განსხვავებულთან“ ურთიერთობების წარმართვის 4 ფაზის კონტექსტში: „აღმოჩენა“, „დაპყრობა“, „სიყვარული“ და „ნაცნობობა“.⁷

ფილმის გზავნილის თანახმად, „მიგრაცია არის სულიერი გზა“, რომლის მიზანიცაა ფესვების, სულიერი ღირებულებების, ტრადიციების შენარჩუნება და, ამავე დროს, იმ განსხვავებულობის აღმოჩენა, დაპყრობა, შეყვარება და გაცნობა, რომელიც თანამედროვეობისკენ მიილტვის. კოლექტიური და ინდივიდუალური საწყისები, აღმოსავლეთი და დასავლეთი, თეოსოფია და პრაგმატულობა – ყველა ეს იდეა ერთმანეთთან კონფლიქტში მოსვლის გარეშე, უფრო ინისა და იანის დუალიზმის სახითაა ჩაქსოვილი ატანას კუცევის კინოში.

ბულგარული კინემატოგრაფი ქმნის საინტერესო თემატურ წრეს, რომელსაც მოდელებისა და იდენტობების თვალსაზრისით თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ კიდევ 3 საერთაშორისო ფილმი: „უტყვი წმინდა ქვები“ (2005, ჩინეთი, რეჟ. პემა ცედენი) და სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები: „ბუდას დაკარგული შვილები“ (2006, ჰოლანდია, რეჟ. მარკ ვერკერკი) და „ბედნიერება“ (2013, ფინეთი/საფრანგეთი/ბუტანი, რეჟ. თომას ბალმესი). აქაც კვლევის საგანია ბუდისტური თემი (სანგჰა) და ახლო ურთიერთობა მასწავლებელსა და ნორჩი ბერის სახით წარმოდგენილ მოსწავლეს შორის.

ატანას კუცევის ნამუშევარი ასევე წარმატებით ეხმიანება ანტონი კრაცევის და ბორისლავ კარამელსკის ახალგაზრდული ტანდემის დოკუმენტურ ფილმებს: „კალაჩაკრა“ და „უხილავი ძაფები“. აქ სახეზე გვაქვს გადაკვეთის ორი წერტილი: 1) ბუდისტური დოქტრინა, სულიერი ჰარმონიისა და ბედნიერების იდეა, რომელიც „კალაჩაკრაში“ წარმოდგენილია დალაი-ლამასთან საუბრის სახით, და 2) განსხვავებების გადალახვის თემა რელიგიური დიალოგისა და კულტურულ-ეთნიკური მრავალფეროვნების გზით „უხილავი ძაფების“ დიდებულ, კალეიდოსკოპურ ვი-

2 <https://kinematograf.bg/istinsko-shtastie-film> [18.08.2022].

3 „კალაჩაკრა“ - <https://kinematograf.bg/kalachakra-film>; „უხილავი ძაფები“ - <https://vimeo.com/337305937> [18.08.2022].

4 იხ.: https://www.youtube.com/watch?v=C7IbZ58_BOY [18.08.2022].

5 იხ.: <https://www.youtube.com/watch?v=sxWb-Pamk1s> [18.08.2022].

6 MARTONOVA, Enlightenments, 2016, pp. 1-33.

7 TODOROV, Завладяването, 1992. [Zavlyadavaneto, 1992].

ზუალურ თხრობაში, რომლის შთაგონების წყაროა რონ ფრიკეს ექსპერიმენტული ესთეტიკა („ბარაკა“, 1992 და „სამსარა“, 2011), ანტონი კრაცევი და ბორის-ლაგ კარამელსკი წარმოაჩენენ კაცობრიობის კოსმოპოლიტური ერთობის ფუნდამენტურ საკითხს.⁸

ეკრანზე აქცენტები კეთდება დალაი-ლამასთან, დიპაკ ჩოპრასთან, შრი რავი შანკართან და სხვა სულიერ ლიდერებთან, ასევე ელიფ შაფაქთან, მწერლებსა და ფილოსოფოსებთან შეხვედრებზე. ვიზუალური თვალსაზრისით, ძირითადი მოქმედება ხდება მუმბაიში, დელიში, ვარნასიში, კატმანდუში, ჰიმალაის მთების საზღვრებთან... „უხილავ ძაფებში“ უარყოფილია განსხვავებულობისა და იდენტობის იდეა. ფილმის მსვლელობის კვალდაკვალ კინემატოგრაფისტები დამაჯერებლად და საფუძვლიანად შლიან ზღვარს „მათთან“ და გვთავაზობენ გზავნილს უკიდევანო სივრცის შესახებ სახელწოდებით „ჩვენ“.

ბედნიერების იდეა ასევე წამყვანია მრავალწლიანი ერთობლივი მუშაობის გამოცდილების მქონე დოკუმენტალისტების: მარიო მარკოვისა და პანჩო ცანკოვის ნამუშევრებში. ამ ტანდემს მივყავართ შორეულ და, განსაკუთრებით, ეგზოტიკურ მოგზაურობაში აღმოსავლეთ ოკეანიაში, კერძოდ კი, პაპუა-ახალ გვინეაში. არსებითად, ხსენებული ორი ფილმი: მოკლემეტრაჟიანი „გამარჯობა, პაპუა!“ და მისი სრულმეტრაჟიანი გაგრძელება, „ნიანგის გრძელი გზა“, ქმნიან ერთიან დიპტიქს. პერსონაჟების და მონტაჟის დონეზე ისინი ერთმანეთს უზადოდ ერწყმებიან.

„გამარჯობა, პაპუა!“ არის მარტივი, სადა, კლასიკური სამოგზაურო თხრობა, ეთნოგრაფიული ელემენტებით, ოქროთი მდიდარი მდინარე სეპიკის დელტის გაყოლებებზე ცხოვრების შესახებ. ქვეყნის აღმოსავლეთში, მანგროს ტყეებში ჩაფლული ეს რეგიონი დასახლებულია როგორც ნიანგებით, ისე პაპუას მკვიდრი მოსახლეობის სხვადასხვა ტომით. მარკოვი ყურადღებას ამახვილებს კუროგოს ტომის ანდროცენტრულ კულტურაზე: მათ ყოფაცხოვრებასა და ხალხურ რეწვაზე, ტაბუებზე, ინიციაციის რიტუალებზე, საკრალურ სამყაროსა და შამანიზმზე, ნათესაურ კავშირებზე, მეზობელ ტომებთან ურთიერთობებზე და, რა თქმა უნდა, კონტაქტებზე დასავლე-

თიდან მოსულ თეთრკანიანებთან. ეს არის ტიპური ფილანთროპიული ფილმი-ექსპედიცია მცირედიტ კმაყოფილების, ბედნიერებისა და ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრების თემატურ ორბიტაში. ფილმის დასკვნით სცენებში იდება ერთგვარი ხიდი ოკეანის შორეულ, უკიდურესად ეგზოტიკურ განსხვავებულობას და ბულგარეთს შორის. ფილმის ბოლოსკენ გადამღები ჯგუფი ისვენებს არტისტულ ბარ „ნიანგში“, რომლის მფლობელია ბულგარელი ლიუბო ტოდოროვი, მეტსახელად „ნიანგი“, რომელიც მეორეხარისხოვანი პერსონაჟიდან ფილმში „გამარჯობა, პაპუა!“ იქცა სრულმეტრაჟიანი „ნიანგის გრძელი გზის“ (ბულგარეთის, პაპუა-ახალი გვინეის, ავსტრალიის და ისრაელის ერთობლივი ნაწარმოები) პროტაგონისტად. „ეს ფილმი აგრძელებს ბულგარული დოკუმენტალისტის მნიშვნელოვან ტენდენციას: ძიების გლობალურ განზომილებებში ბულგარული სულისკვეთების ჩართვას. ხოლო ამ პერსონაჟის დახმარებით, ეს ფილმი კიდევ უფრო შორს მიდის, გვევლინება რა სოციალური სისტემებისგან დამოუკიდებლობის, აბსოლუტური თავისუფლების აპოთეოზად“.⁹

„ნიანგის გრძელ გზაში“ ლიუბო ტოდოროვის ბიოგრაფიული პორტრეტის დახმარებით აგებულია ტოტალიტარული ეპოქის კონკრეტული კრიტიკული თხრობა, რომელიც ჩასმულია ეგზოტიკურ პერიმეტრში, რაც უპრეცედენტო შემთხვევას წარმოადგენს. ეს პროტაგონისტი ნამდვილი მიგნებაა დოკუმენტური პორტრეტის ჟანრისთვის, რადგან გვიხატავს „ბულგარული მენტალური ჰორიზონტის უნიკალურ პროექციას“.¹⁰

ტოდოროვის ცენტრალური ფიგურა ცდილობს შორეულისა და ახლოს, სახლისა და უცხოეთის, წარსულისა და აწმყოს, პრიმიტიულობის და ცივილიზებულიობის ერთმანეთთან შეხამებას. „ბულგარული განსხვავებულობის“ სარკეში მაყურებელი აანალიზებს ისტორიულ პერიოდებს, ადამიანთა იდენტობებს და ურთიერთობებს აღმოსავლეთევროპელებს, დასავლელებს და ასევე უცნობი მიწების მცხოვრებთა, ამ შემთხვევაში, ოკეანის ხალხთა შორის.

„ნიუ-იორკისა და ევროპული ქალაქების ჯუნგლები ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე აქაური

8 SPASOV, Борислав Карамелски – интервю.

9 DIMITROVA, Тресна за злато, 2011.

10 იქვე.

ჯუნგლები“, – აცხადებს „ნიანგი“ ლიუბო ფილმში. მაგრამ ასეა კი? პროფესიონალი მოცურავე, თავგადასავლების მოყვარული, მეოცნებე, მოგზაური, ბიზნესმენი, ქარიზმატული და კოლორიტული ადამიანი – ლიუბო 22 წლის იყო, როცა 1970 წელს გადაწყვიტა გაქცევა კომუნისტური სისტემიდან. ეს რთული მარშ-რუტი გადის ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე და გულისხმობს იტალიაში ჩაღწევას ცურვით. ცანკოვის ფილმში ამ „დეზერტირობის“ ამბავი ბიბლიურ განზომილებებს იძენს, განსაკუთრებით, ადრიატიკის ზღვის გადაკვეთის ნაწილში.

„ნიანგის გრძელი გზა“ უგულვებელყოფს თავისუფალი სამყაროს აშენების მიზნით (სადაც სიცოცხლის ხალისის არჩევანი პასუხისმგებლობას გულისხმობს) გადასახლების, მიგრაციის, კონტინენტიდან კონტინენტზე ლტოლვილის მოგზაურობის, დასახლებისა და ფესვების გადგმის პრობლემატიკას. ნაცვლად ამისა, ფილმს აქვს სპეციფიკური მისია: ინდივიდუალური პორტრეტის მეშვეობის ტოტალიტარული პერიოდის და „რკინის ფარდის“ მიღმა ცხოვრების გაშუქება. ამავე დროს, ხდება შედარება დღევანდელი გლობალიზაციის განზომილებებთან. ამ კონტექსტში ლიუბო ტოდოროვი სცდება „ეგზოტიკური განსხვავებულის“

სახის ფარგლებს და იქცევა კულტურათაშორისი შედარების ობიექტად.

ტოტალიტარიზმის შემდგომი პერიოდის თანამედროვე ბულგარულ კინოში კონფიგურაციები, რომლებიც ხაზს უსვამენ განსხვავებულობას, თავს იჩენენ სრულიად განსხვავებულ განზომილებებში: ზოგი მათგანი დაკავშირებულია ჩამორჩენის კომპენსაციასთან, აღმოჩენასა თუ ხელახლა აღმოჩენასთან, ხელახლა ინტერპრეტაციასთან და ინტერპრეტაციის ახალ მიდგომებთან. ეს საკომუნიკაციო რეჟიმები არსებითად მნიშვნელოვანია ბულგარული კინემატოგრაფიული კულტურის კონტექსტში, რადგან გამოსახულებათა ერთობლიობა ეკრანზე წარმოადგენს ახალი კულტურული მოდელების განუყოფელ ნაწილს. კინემატოგრაფიული არტეფაქტები გვაძლევენ არა მხოლოდ გარე სამყაროს ინტერპრეტაციის, არამედ ჩვენი საკუთარი კულტურული ღირებულებების გადაფასების უნიკალურ შესაძლებლობასაც. „უცხო“ სახის ხაზგასმით ბულგარული კინო შედის ახალ ტერიტორიაზე, რომელიც დაკავშირებულია შორეული თუ ახლო წარსულის პრობლემებთან, და, ამავე დროს, აბიჯებს უზარმაზარ, მღელვარე გლობალ სამყაროში და იდუმალებით მოცულ მომავალში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Andronika MÄRTONOVA, Enlightenments: The Interpretation of Tibetan Buddhism on Screen, in: Journal of Religion and film, 2016, vol. 20, № 1, University of Nebraska, Omaha, USA, pp. 1-33.
- Andronika MÄRTONOVA, Между миграция и уседналост: Екзотичният друг и новото българско кино, София, ИИИЗк, 2021. [Mezhdu migratsiya i usednalost: Ekzotichniyat drug i novoto balgarsko kino, Sofia, IAS, 2021]
- Genoveva DIMITROVA, Треска за злато и други авантюри. in: Култура, № 19 (2902), 20 май 2011, <https://newspaper.kultura.bg/bg/article/view/18411> [Треска за злато и други авантюри. in: Kultura, № 19 (2902), 20 may 2011; retrieved 18.08.2022]
- Julian SPASOV, Борислав Карамелски – интервю. in: Кинематограф.бг. <https://kinematograf.bg/interview-s-borislav-karamelski> [Borislav Karamelski – intervyyu. in: Kinematograf.bg; retrieved 18.08.2022].
- Tzvetan TODOROV, Завладяването на Америка. Въпросът за другия. София, УИ „Св. Климент Охридски“, 1992. [Zvadyavaneto na Amerika. Vaprosat za drugiya. Sofia, Sofia University Press, 1992.]

BETWEEN SOUL SEARCHING AND HAPPINESS IN FAR EAST'S CULTURES

(Images of the Global and the Personal in the Contemporary
Bulgarian Documentary Cinema)

Andronika Mårtonova

Keywords: *Bulgarian cinema, exotic otherness, migration, Far East, identity, globalization, cultural diversity, documentary films, spiritual values*

The text examines several Bulgarian documentary films that focus on the idea of happiness and the migration to the distant territories. The analysis emphasizes on filmic expression and the construction of meaning fields.

The screen dialogue between the cultures of the Far East and Bulgaria is definitely a new area for post-totalitarian Bulgarian cinema, unevenly developing in its various feature and documentary forms. In general, the stronger side of Bulgarian cinema has always been documentaries, and this trend was largely preserved even after the democratic changes (1989). At the same time, the distribution practices and reaching the audiences of documentary films (full-length and short-length, projected on the wide screen) are still problematic and difficult. In general, the picture is as follows: in certain often small movie theatres some of the titles are shown for the first time (as a premiere), and then sporadically programmed. The truth is that Bulgarian documentary films are almost absent from the week screen schedule. But there is an alternative thanks to the development of technologies and platforms for streaming and video sharing. In a digital environment, films artifacts reach their audience, which isn't the mainstream public. It has also been observed that documentaries by young filmmakers are much easier to discover and watch than those made by established or internationally acclaimed authors. The paper emphasizes the newcomers in documentary cinema, who develop through their works the theme of migration, multiculturalism, and global freedom of the so-called 'A citizen of the world'. And another interesting

thing – their films somehow intuitively escape from the overexposed, undeniably painful problematic of rethinking and reobserving the recent socialist past. This segment remains a reserved territory for directors who have long carrier and visible presence in Bulgarian documentary cinema. The common cross-point, between old and new authors, is the different, provocative portrait of the Bulgarian as an *Exotic Other*. By bringing out such a central and definitely interesting character, the vectors of the various meaning fields are also generated. The main message, exposed through the prism of religious dialogue and cultural-ethnic diversity, is: how to achieve spiritual harmony and happiness, how to overcome the cultural differences. The documentary titles focus on the challenges of the global world – preserving identity and spiritual origin in an increasingly material world. At the same time, all directors are looking for those values that unite and not divide humanity.

The dialogue between Asia and Bulgaria, viewed through the lens of contemporary cinema, definitely has great potential, placed in various contexts: historical, political, aesthetic, cultural, ethnopsychological, etc. The incarnations of Asia in Bulgarian new documentary cinema unfold the idea of the remoteness or proximity of the East. The recent Bulgarian cinema constructs identity in a new manner by activating the cross-cultural

comparison on the Own – Alien axis.¹

Several works were made recently introducing in the frame space very different and even unused until now identities along with their clichéd representations. The contrasts are built by comparing the Bulgarian and the Asian identities of the Chinese, Koreans, Japanese, Yakuts, Nepalese, Vietnamese, Burmese, Cambodians, etc. This is definitely something novel. Moreover, unknown, de-Bulgarianised, and even attractive characters appeared, functioning in a totally unknown, atypical cultural environment, that of the East.

Until 2010, a small number of documentaries were made, very different in terms of plot, style, onscreen message and aesthetical paradigm. These are:

- *Silence in Cambodia* (1993) by Krasimir Hazarbasanov – a brutal narrative for Bulgarian military mission (already on its way to joining NATO) in the Southeast Asian country.
- *Last Century's Love Story* (2001) by Andrey Altaparmakov, which tells about the great love of the Japanese journalist Maeda Yoshinori (later president of NHK) and the Bulgarian Anastasiya in the full swing of WWII.
- *Total Denial* (2006) by Milena Kaneva, devoted to environmental and human rights issues in Myanmar.
- Lyubomir Halachev's documentary travelogues around South and Southeast Asia: *Traditions of Five Millennia* and *Immortal Faith* (both from 2001), *The peoples between the jungle and the ocean* and *Singapore—the City of the Lion* (both from 2007).

In the films of the decade 2010 - 2020, related to Asian otherness, there is a visible trend of representations in which three directions of realization can be distinguished:

- o First version: a clash between the Bulgarian and the Asian in the context of our native reality;
- o Second version: unprecedented immersion in remote

lands, subject to different aesthetical conventions, mindsets, behaviours, and, of course, spawning in their compendium other, supranational and definitely universal, meanings and messages.

- o Third version: contamination between the Bulgarian and exotic Otherness in the little known or completely unknown cultures of Asia and Oceania.

In the present text, I will put precisely focus on the third option, because includes the works of authors who expound the above-mentioned idea of functioning of the Bulgarian personage as an Exotic Other in the contradictory global world. The films reviewed below are directed by young documentarians: Atanas Kutsev – *A Pure Happiness* (2016)²; Borislav Karamelski and Antony Krastev – *Kalachakra* (2012) and *Invisible Strings* (2016)³. But also from established directors: Mario Markov – *Hello, Papua!* (2009)⁴ and Pancho Tzankov – *The long path of the Crocodile* (2011)⁵.

The short film *A Pure Happiness* (coprod. Bulgaria-Nepal) is a kind of soul searching, exploring the concepts of happiness, much more in the spiritual sense of the word than in the material.

Somewhere in Kathmandu, at the purlieu of a monastery-school, the director meets us with various characters: student-monks of all ages; the CEO of the 'Siddhartha Foundation' under whose umbrella the school is; a Chinese volunteer who has been helping the monastery for years; and... Monika Balabanova – the Bulgarian English teacher.

A delicate accent is put on some basic concepts of Buddhism, and in its Nepali interpretation – the so-called Newar Buddhism: dharma – the spiritual path that everyone should follow and ahimsa – non-violence. Weaving the religious system into the film's fabric requires an understanding of the canon in the synergy of cultural identity⁶. And the author Kutsev is aware of these cultural specifics, when through them and the noble

1 Regarding comparisons with the era of socialism and the presence of the Far East in totalitarian documentary cinema, see: MARTONOVA, Между, 2021, pp. 22-26 [Mezhdu, 2021]

2 Watch on <https://kinematograf.bg/istinsko-shtastie-film> [retrieved 18.08.2022].

3 Watch on: *Kalachakra* - <https://kinematograf.bg/kalachakra-film>; *Invisible Strings* –<https://vimeo.com/337305937> [retrieved 18.08.2022].

4 Watch on https://www.youtube.com/watch?v=C7lbZ58_BOY [retrieved 18.08.2022].

5 Watch on <https://www.youtube.com/watch?v=sxWb-Pamk1s> [retrieved 18.08.2022].

6 For more see: MARTONOVA, Enlightenments, 2016, pp. 1-33.

mission of Monika brings out the theme of migration and the relocate person. Monika is the narrative's guide, but she is not imposed. The film is not a real portrait of her, but the quick shot of concept of achieving balance and harmony in a totally different world. The young Bulgarian woman carries out the path described by Tzvetan Todorov in building the relationship with the Other through the four phases: discovery, conquest, love and acquaintance⁷. According film message the migration is a path of the spirit, which must preserve the roots, spiritual values, tradition. And at the same time to discover, conquer, love and get to know modernity reaching otherness. The collective and the individual beginning, the East and the West, theosophy and practicalism – all these ideas exist as points of view in Atanas Kutsev's cinema, but they do not conflict with each other. Rather, it is like the dualism of Yin and Yang.

The Bulgarian film forms an interesting thematic circle with three other works from the world screen, to whose models and identity it can be safely related to: the feature one *Silent Holly Stones* (2005, China, dir. Pema Tsenden), and full-length documentaries – *Buddha's Lost Children* (2006, Netherlands, dir. Mark Verkerk) and *Happiness* (2013, coprod. Finland-France-Bhutan, dir. Thomas Balmès). They also explore the Buddhist community (Sangha) and the close relationship between teacher and disciple, through the image of the child monk.

Finally, the work of Atanas Kutsev also corresponds successfully with the documentaries of the young tandem Antoni Krastev and Borislav Karamelski: *Kalachakra* and *Invisible Strings*. As the intersection points are in two directions: first – the Buddhist doctrine, the idea of spiritual harmony and happiness, owing to conversations with the Dalai Lama in the *Kalachakra*; and secondly – overcoming differences through the prism of religious dialogue and cultural-ethnic diversity. The last is strongly embedded in the magnificent, kaleidoscopic visual narrative of *Invisible Strings*, inspired by the experimental aesthetics of Ron Fricke (*Baraka*, 1992 and *Samsara*, 2011). Antoni Krastev and Borislav Karamelski⁸ put fundamental questions related to the cosmopolitan

unity of humanity. The onscreen highlights have been led away thanks to meetings with the Dalai Lama, Deepak Chopra, Sri Sri Ravi Shankar, Elif Şafak and other spiritual leaders, writers, philosophers. The main visual locations are in Mumbai, Delhi, Varanasi, Kathmandu, the borders with the Himalayas... *Invisible Strings* dissolve the idea of otherness and identity. Over the course of the film, the filmmakers convincingly and intelligently erase the border lines of They to open up and melt the message into the boundless fields of We.

The idea of happiness is also leading among mature documentarians such as Mario Markov and Pancho Tzankov, who have been working in a creative team for years. The tandem takes us on a distant and particularly exotic journey to the edge of the East – Oceania, more precisely Papua New Guinea. In fact, the two films are connected and form a diptych: The long path of the Crocodile is the full-length sequel to the short *Hello, Papua!*. They flow into each other both on a character level and on an editing level.

Hello, Papua! is a simple, ordinary, classic travelogue narrative with ethnographic elements about the life along the gold-bearing Sepik Delta – nestled in the country east, in the middle of the mangroves, it shelters both crocodiles and the various tribal groups of the indigenous Papuan population. Markov's focus, however, is on the androcentric culture of the Kurogo tribe: their livelihoods and crafts, taboos, initiation rites, sacred worlds and shamanism, kinship, relations with neighboring clans, and – of course – contacts with the white man who came from the West. Pure philanthropic film-expedition into thematic orbit of happiness in small things and a simple way of life in harmony with nature. The bridge between the distant, very exotic otherness of Oceania and Bulgaria is built on the final episodes. Almost at the end, the film crew rests in the artistic 'Crocodile Bar', whose owner is the Bulgarian Lyubo Todorov – nicknamed Lyubo the Crocodile. He evolved from a secondary character in *Hello, Papua!* to a protagonist in full-length *The Long Path of the Crocodile* (coprod. Bulgaria-Papua New Guinea-Australia-Israel). 'The film continues an important trend in Bulgarian documentary cinema – the implantation of

7 See: TODOROV, *Завладяването*, 1992. [Zavladyavaneto, 1992]

8 See: SPASOV, Борислав Карамелски – интервю. (<https://kinematograf.bg/interview-s-borislav-karamelski>).

the Bulgarian spirit in the global dimensions of search. And with this hero, he goes even further – he becomes the apotheosis of absolute freedom, not subject to social systems'.⁹

Through the biographical portrait of Lyubo Todorov in *The Long Path of the Crocodile* is constructed a particular, critical narrative of the totalitarian era, unprecedentedly placed in the perimeter of the exoticness. The protagonist is an extremely fortunate find for the documentary portrait genre, as it provides a 'unique projection of the Bulgarian mental horizon'¹⁰. Todorov's central figure, trying to reconcile near and far, Home and Foreign, past and present, primitiveness and civilization. In the mirror of his Bulgarian otherness the spectator examines historical periods, human destinies and relations between Eastern Europeans, Westerners, but also representatives of very unknown lands, such as the peoples inhabiting Oceania.

'The jungle of New York and the cities of Europe is much more dangerous than the jungle here' – says Lyubo the Crocodile in the film. But who is he really? Professional swimmer, adventurer, dreamer, wonderer, entrepreneur. Charismatic and colorful man. In 1970, when he was 22 years old, he decided to escape from the communist system. The difficult route to freedom passes through the territory of the former Yugoslavia to reach Italy by swimming. In Tzankov's film, the story of the desertion takes a biblical dimension, especially in the

act of crossing of the Adriatic.

The Long Path of the Crocodile pushes away from the problematic of resettlement, migration, the wandering of the refugee from continent to continent, settling down, in order to construct another world of freedom where the passion for life is as responsible choice. The film has a specific mission: through the individual portrait to shade the totalitarian period and life behind the 'iron curtain'. At the same time, he makes a juxtaposition with the dimensions of today's globalization. In this context, Lyubo Todorov completely overlaps the image of a kind of Exotic Other and become a subject of cross-cultural comparison.

In the contemporary Bulgarian cinema of the post-totalitarian period, the configurations in articulating the Otherness unfold in radically different dimensions: some of them are related to catching up, (re)discovery, reinterpretation and a new viewpoint on interpretation. These communication regimes are of paramount importance in the context of Bulgarian film culture as the screen images are incorporated into new cultural models. The cinematic artefact affords a unique opportunity not only to interpret the foreign world, but also to rearrange the own cultural values. Articulating the image of the Stranger, Bulgarian cinema builds up new areas dealing with various problems of the remote and the recent past, but also tremendous, anxious global world and obscurely future.

REFERENCES:

- Andronika MÄRTONOVA, *Enlightenments: The Interpretation of Tibetan Buddhism on Screen*, in: *Journal of Religion and film*, 2016, vol. 20, № 1, University of Nebraska, Omaha, USA, pp. 1-33.
- Andronika MÄRTONOVA, *Между миграция и уседналост: Екзотичният друг и новото българско кино*, София, ИИИЗк, 2021. [Mezhdu migratsiya i usednalost: Ekzotichniyat drug i novoto balgarsko kino, Sofia, IAS, 2021]
- Genoveva DIMITROVA, *Треска за злато и други авантюри*. in: *Култура*, № 19 (2902), 20 май 2011, <https://newspaper.kultura.bg/bg/article/view/18411> [Treska za zlato i drugi avantuyuri. in: *Kultura*, № 19 (2902), 20 may 2011; retrieved 18.08.2022]
- Julian SPASOV, *Борислав Карамелски – интервю*. in: *Кинематограф.бг*. <https://kinematograf.bg/interview-s-borislav-karamelski> [Borislav Karamelski – intervyyu. in: *Kinematograf.bg*; retrieved 18.08.2022].
- Tzvetan TODOROV, *Завладяването на Америка. Въпросът за другия*. София, УИ „Св. Климент Охридски“, 1992. [Zavlyadyavaneto na Amerika. Vaprosat za drugiya. Sofia, Sofia University Press, 1992.]

9 DIMITROVA, *Треска за злато*, 2011.

10 DIMITROVA, *Треска за злато*, 2011.

1. პოსტერი ფილმისთვის „სრული ბედნიერება“, რეჟ. ათანას კუცევი (2016); პოსტერის დიზაინერი, ბორისლავ ინგილიზოვი.

A FILM POSTER FROM THE MOVIE "A PURE HAPPINESS". DIRECTED BY: ATANAS KUTSEV. 2016. THE POSTER'S ARTIST: BORISLAV INGILIZOV.



2-3. კადრი ფილმიდან „სრული ბედნიერება“, რეჟ. ათანას კუცევი (2016). A SCENE FROM THE MOVIE "A PURE HAPPINESS". DIRECTED BY: ATANAS KUTSEV. 2016.





4. კოსტერი ფილმისთვის „ნიანგის გრძელი გზა“, რეჟ. პანჩო ცანკოვი (2011). A FILM POSTER FROM THE MOVIE "THE LONG PATH OF THE CROCODILE". DIRECTED BY: PANCHO TZANKOV. 2011.



5. კადრი ფილმიდან „ნიანგის გრძელი გზა“, რეჟ. პანჩო ცანკოვი (2011). A SCENE FROM THE MOVIE "THE LONG PATH OF THE CROCODILE". DIRECTED BY: PANCHO TZANKOV. 2011.